ყოველი სახსარისთვის ადამიანის სხეულში არის სადაყა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ადამიანის ყოველი სახსრისთვის ყოველდღე, რომელიც ალლაჰმა უბოძა, აკისრია სადაყა, ყოველდღე, როდესაც მზე ამოდის: ორ ადამიანს შორის სამართლიანობის დამყარება - ეს არის სადაყა, დაეხმარო ადამიანს მის ცხოველზე[ცხენზე, აქლემზე...] დაჯდომაში, აიყვანო მასზე ან აატანინო ტვირთი მასზე - ეს არის სადაყა, კარგი სიტყვის თქმა - ეს არის სადაყა; ყოველი ნაბიჯი, რომლითაც ლოცვისკენ მიდიხარ - ეს არის სადაყა; და გზიდან დაბრკოლების მოცილება, რაც ხალხს აწუხებს - ეს არის სადაყა».

[სანდო (საჰიჰ)] [رواه البخاري ومسلم]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ყოველი დღისთვის მუსლიმმა, რომელსაც პასუხისმგებლობა აკისრია, უნდა გაიღოს საკმარისი სადაყა უზენაესი ალლაჰისთვის მადლიერების გამოხატვის ნიშნად, იმ ჯანმრთელობისთვის, რომელიც ალლაჰმა მიანიჭა, და იმ სახსრების გამო, რომლითაც მას შეუძლია ხელების მოქნევა და გაშლა. ეს სადაყა სრულდება ყოველგვარი კეთილმოქმედებით და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფულის გაცემით. მათგანია: ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის სამართლიანობა და შერიგების მოპოვება არის სადაყა, დაუძლურებული ადამიანის დახმარება მის სატრანსპორტო საშუალებაზე ასვლაში ან მისი ტვირთის აწევაში არის სადაყა (მოწყალება), კეთილი სიტყვა, როგორიცაა ალლაჰის ხსენება, დუა, მისალმება და სხვა, არის სადაყა, ყოველი ნაბიჯი, რომელსაცც ლოცვისკენ დგამ, არის სადაყა. გზიდან დაბრკოლების ან იმ საგნის მოშორება, რაც ზიანს აყენებს ადამიანებს, არის სადაყა.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66527